პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 ნოემბერი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის XII-ე წელი № 278 (14578)

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ალუთქვამს პარტიასა და მთავრობას, რომ საბჭოთა გლეხობა მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ლენინის დიადი დროშით ივლის წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების წერილიდან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის გამოსვლა

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის 27 ნოემბრის საღამოს სხდომაზე

ძვირფასო ამხანაგო დელეგატებო!

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობა დასასრულს მიუახლოვდა. მას ახასიათებდა მაღალი საქმიანობა და პრინციპულობა საკოლმეურნეო ცხოვრების ძირეული საკითხების განხილვისას. ყრილობის დელეგატები საფუძვლიანად, ღრმა ცოდნით უკეთებდნენ ანალიზს საქმის ვითარებას სოფლის მეურნეობაში, საგნობრივად განიხილავდნენ მისი განვითარების პერსპექტივებს. კვლავ გამოვლინდა ჩვენი საკოლმეურნეო წარმოების შესანიშნავი ოტატებისა და ხელმძღვანელების უმდიდრესი, თაობიდან თაობაში წარმატებით გადმოცემული გამოცდილება, მათი პოლიტიკური სიმწიფე, კოლმეურნეების, პარტიის, სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

ეს-ეს არის მოხდა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ისტორიული მოვლენა — ყრილობის დელეგატებმა ერთხმად მიიღეს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება და სხვა დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი. ეს მოვლენა მოასწავებს ახალ ეტაპს საკოლმეურნეო წყობილების, მთელი ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, უდიდეს გავლენას მოახდენს მათზე. ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას შეგვიძლია ამაყოფილი ვიყოთ ჩვენი ყრილობის მუშაობით. (ტაში).

ერთსულოვნება, რომლითაც ყრილობა მიმდინარეობდა, ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა მჭიდროდ შეკავშირებულია ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ფართო პროგრამა, რომელიც პარტიის XXIII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა დასახეს.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა დიდი მოვლენა იყო მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისდამი იყო მიპყრობილი არა მარტო სოფლის მშრომელთა, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა ყურადღება.

ჩვენი ყრილობის სახელზე მოდის მრავალი დებეში და წერილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივებისაგან, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა არმიისა და საზღვაო ფლოტის მეომრებისაგან, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანებისაგან, პიონერებისა და მოსწავლეებისაგან. დეპეშები და წერილები შეიცავენ გულითად მისალმებებს ყრილობის დელეგატებისადმი, მათ და მათი სახით მთელ კოლმეურნე გლეხობას მხურვალედ უსურვებენ ახალ წარმატებებს შრომაში. (ტაში).

და ეს სავსებით გასაგები და კანონზომიერია — სოფლის მეურნეობის განვითარება ყველა საბჭოთა ადამიანს მიაჩნია თავის ღვიძლ, საარსებო საქმედ!

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, ამხანაგო დელეგატებო, გულითადი მადლობა ვუძღვნა ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, ყველა მშრომელთ, რომლებმაც მისალმება გამოგზავნეს ყრილობის სახელზე, და ვუსურვო მათ ყოველივე საუკეთესო. (ტაში).

ჩვენი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები — სოციალისტური ქვეყნებისა და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა გლეხობის წარმომადგენლნი. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ, თუ რა როლს ასრულებს მეგობრობა გლეხობასა და ყველა მშრომელთა შორის, რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კოლმეურნეობების გამოცდილებას.

ნება მიბოძეთ დელეგატების სახელით მადლობა ვუძღვნა ჩვენს ძმებს — სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებს, ყველა პატივცემულ უცხოელ სტუმარს ყრილობისადმი ყურადღებისათვის, მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის, რაც გამოთქვეს საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობის მიმართ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართ. (ტაში).

ამხანაგო დელეგატებო!

ამ დღეებში თქვენ შინ დაბრუნდებით. უნდა ვიფიქროთ, რომ დაწყრილებით უამბობთ თქვენს კოლმეურნეობებში, რაიონებში, რესპუბლიკებში კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობის შესახებ, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ.

ჩვენ მოველით, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველგან გაანალიზებენ დიდ სისტემატურ მუშაობას ახალი სანიმუშო წესდებისა და ყრილობის ყველა დოკუმენტის განმარტებისათვის.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებანი, ეჭვი არ არის, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალ აღმავლობას გამოიწვევენ კომუნიზმის მშენებელ კოლმეურნე გლეხობაში, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთა შორის. და ეს აქტივობა მიმართული იქნება იმისაკენ, რომ კიდევ უფრო სრულად იქნას გამოყენებული სოციალისტური წყობილების უპირატესობანი, ჩვენი ეკონომიკის უდიდესი რეზერვები იმ პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და სახელმწიფომ დაუსახეს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. (ტაში).

ყრილობის მუშაობა და გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ მუშათა კლასისა და საბჭოთა გლეხობის ურღვევი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, მათს მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. (ხანგრძლივი ტაში).

შეიძლება სრული რწმენით განვაცხადოთ, რომ კოლმეურნე გლეხობა, რომელიც გამოირჩევა თავისი შრომისმოყვარეობით, თავდადებით, პატრიოტიზმით, კიდევ უფრო მაღლა ასწევს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშას და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავს ამ დიად თარიღს. (ტაში).

გისურვებთ ყველას, ძვირფასო ამხანაგებო, ნაყოფიერ მუშაობას და დიდ პირად ბედნიერებას! (ხანგრძლივი ტაში).

ნება მიბოძეთ კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა დახურულად გამოვაცხადო.

• • •

ყველანი ფეხზე დგებიან. დელეგატები და სტუმრები მღერიან „ინტერნაციონალს“.

ქალაქებს არ ჩამოუვარდებიან

მოსკოვი, 27 ნოემბერი. (საქდესი). კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობას დაუკავშირდა სპეციალიზებული გამოფენა „სასოფლო მშენებლობა“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 23 დარბაზში და სადემონსტრაციო მოედნებზე განლაგებულია მოკავშირე რესპუბლიკათა ექსპოზიციები, რომლებიც სოფლების დაგეგმვისა და განაშენიანების პრაქტიკას ასახავენ.

ყრილობის დელეგატთა და სტუმართა დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სსრ ექსპოზიცია, რომელიც დიდი გემოვნებითაა გაფორმებული. მრავალი სქემა, პროექტი, მაკეტი, ფოტოსურათი, პანო მოწმობს იმ უდიდეს მუშაობას, რომელიც რესპუბლიკაში წარმოებს საკოლმეურნეო სოფლების გარდაქმნისათვის თანამედროვე კეთილმოწყობილ დაბებად. ბევრი მასალა ეძღვნება გამწვანების, ხელოვნური მორწყვის, კოლეთის ჯაობიანი მიწების ამოშრობის ხერხებს.

დიდხანს ჩერდებიან დამთვალიერებელნი მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარის, მთელი რიგი სხვა სოფლებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმებთან, რომლებიც საქართველოს სახოფლო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა შეასრულა. ამ ინსტიტუტის კოლექტივმა გამოფენაზე წარმოადგინა საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების, საწარმოო შენობების ბევრი ორიგინალური პროექტი-გეგმა. ყურადღებას იპყრობს ხეთის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობის გენერალური გეგმა, რომელსაც სრულიად საკავშირო დათვალიერება-კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა, და გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის გენერალური გეგმა, რომელმაც მეორე ხარისხის დიპლომი მიიღო.

გამოფენა დათვალიერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

გამოფენაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ბანუშაძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ბ. ღვინჯილია, ყრილობის დელეგატ ქართველ კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი.

• • •

გამოფენა მოაწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა. იგი გაფორმეს ქალაქ თბილისის მთავარმა მხატვარმა ო. ბ. ლიფანიშვილმა და მხატვარ-არქიტექტორმა დ. ბ. კენჭოშვილმა.

□ □

მასობრივი ტირაჟით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოსცა ბროშურა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

ბროშურაში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი. (საკდესი).

დადგენილება

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისა

კოლმეურნეობათა საბჭოების შექმნის შესახებ

საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისათვის რეკომენდაციათა შემუშავების მიზნით კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ადგენს:

1. შეიქმნას კოლმეურნეობათა არჩევითი საბჭოები რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებსა და ცენტრში.

კოლმეურნეობათა საბჭოების არჩევნები იწყობა: რაიონებში კოლმეურნეობათა წარმომადგენლების კრებებზე; ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე ცენტრში — კოლმეურნეობათა შესაბამისი საბჭოების წარმომადგენელთა კრებებზე.

2. არჩეულ იქნას კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო მიმდინარე ყრილობაზე.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სხდომა

28 ნოემბერს გაიმართა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ არჩეული კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სხდომა.

საბჭომ განიხილა ორგანიზაციული საკითხები. კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია **ვ. ვ. მაცკევიჩი** — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, თავმჯდომარის მოადგილეებად: **ვ. მ. კავუნი** — ვინიცის ოლქის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და **ი. მ. სემენოვი** — ტულის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარე.

სხდომაზე გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება უახლოეს პერიოდში საბჭოს მუშაობის გეგმის შესახებ.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **დ. ს. პოლიანსკიმ**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **თ. დ. კულაკოვმა**.

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შემადგენლობა

1. **ადომავიჩიუსი ვინცას კაზიო** — ლიტვის სსრ კაპსუკასის რაიონის ჩერნიახოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.
2. **ალექსეევსკი ევგენი ევგენის-ძე** — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრი
3. **ანისიმოვა ირინე თომას ასული** — მოლდავეთის სსრ ორგეევის რაიონის კოლმეურნეობა „ეიაცა ნოუს“-ის თავმჯდომარე
4. **ათაბეკოვა ოლმასხანი** — ყირგიზეთის სსრ ოშის ოლქის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
5. **ატაევი რეჯეპაყული** — თურქმენეთის სსრ ილიალის რაიონის კარლინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
6. **ატამურადოვი ხურასანი** — უზბეკეთის სსრ სურხანდარიის ოლქის დენაუს რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვის“ მთავარი აგრონომი
7. **აფონკინა ზოია ალექსის ასული** — ჩუვაშეთის ასსრ იადრინის რაიონის ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი
8. **ბოკჩუბაევი ტენგი** — ყირგიზეთის სსრ ჯუმგალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
9. **ბუზნიკაი ალექსანდრე გრიგოლის-ძე** — უკრაინის სსრ კიევის ოლქის ძირონოვკის რაიონის ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
10. **ბულავინი ერემია მიხეილის-ძე** — უკრაინის სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქის ცარიჩანკის რაიონის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის სარეკიზიო კომისიის თავმჯდომარე
11. **გაფუროვი რასული** — უზბეკეთის სსრ ბუხარის ოლქის შაფირკანის რაიონის კოლმეურნეობა „შაფირკანის“ ეკონომისტი
12. **ბიტალოვი ალექსანდრე ვასილის-ძე** — უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის სკკპ XX ყრილობის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირი. ორგზის სოციალისტური შრომის გმირი
13. **გლაზიევი მიხეილ თევდორეს-ძე** — ვორონეჟის ოლქის პანინოს რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
14. **გლუხოვი ნიკოლოზ პეტრეს-ძე** — ტამბოვის ოლქის რჟაკსის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პუტილოვეცის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
15. **გოკოვი მიხეილ ანდრიას-ძე** — ბელგოროდის ოლქის კოროჩის რაიონის კოლმეურნეობა „რასვეტის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირი
16. **გოლოვაცკი ნიკოლოზ ნიკიტას-ძე** — უზბეკეთის სსრ ტალდი-კურგანის ოლქის პანფილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 40 წლისთავის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
17. **გოროშკოვი სერგეი ვასილის-ძე** — ვლადიმირის ოლქის გუს-ხრუსტალნის რაიონის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
18. **გრიგალიუნასი მედარდას იულიონის-ძე** — ლიტვის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
19. **გუსევი ნიკოლოზ პავლეს-ძე** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
20. **დემიდენკო ვლადიმერ გრიგოლის-ძე** — ნოვოსიბირსკის ოლქის ტატარსკის რაიონის კოლმეურნეობა „სიბირის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
21. **დოვჟენკო ანა დენისის ასული** — უკრაინის სსრ ჩერნიგოვის ოლქის პრილუკის რაიონის „ოქტომბრის ათი წლისთავის“ სახელობის კოლმეურნეობის მწველავი. სოციალისტური შრომის გმირი
22. **დორონინა ლიდია სტეფანეს ასული** — გორკის ოლქის დივეევუკის რაიონის კოლმეურნეობა „ონუჩინსკის“ ბუღალტერი
23. **დოროშენკო პეტრე ემელიანის-ძე** — უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
24. **ეგუდინი ილია აბრამის-ძე** — უკრაინის სსრ ყირიმის ოლქის კრასნოგვარდეისკის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დრუჟბა ნაროდოვის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
25. **ეფიმესკი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე
26. **ეცაკაშვილი შოთა მათეს-ძე** — საქართველოს სსრ გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
27. **ვასილიევი ივანე სიმონის-ძე** — ფსკოვის ოლქის ველიკიე ლუკის რაიონის კოლმეურნეობა „როსიის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
28. **ვასილიევი თევდორე სტეფანეს-ძე** — სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი დობროვოლეცის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
29. **ზაბიდოვა ვასილა ალი ყზი** — აზერბაიჯანის სსრ უჯარის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა აზერბაიჯანის“ თავმჯდომარე
30. **ზინკოვსკაია ევგენია ტიმოთეს ასული** — უკრაინის სსრ დონეცკის ოლქის არტემოვსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირი
31. **ზინევიჩი მარიამ კონდრატის ასული** — უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის რუჟინის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ ტრაქტორისტი
32. **ზოლოტარიოვი ივანე სიმონის-ძე** — კურსკის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი
33. **ზუევა ზინაიდა ვასილის ასული** — რიაზანის ოლქის მიხაილოვის რაიონის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგე. სოციალისტური შრომის გმირი
34. **ივანოვი ალექსი ივანეს-ძე** — ყალინინის ოლქის სტარიცის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ თავმჯდომარე
35. **ივრამოვი აკსან ბაკირის-ძე** — ბაშკირეთის ასსრ რესპუბლიკის ილიშევსკის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის“ აგრონომი
36. **იასტრები ივანე ნიკოლოზის-ძე** — უკრაინის სსრ ნიკოლაევის ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი
37. **კაკუნი ვასილ მიხეილის-ძე** — უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
38. **კალაჩიკი ვლადიმერ მიხეილის-ძე** — ბელორუსიის სსრ მინსკის ოლქის მოლოდეჩნოს რაიონის კოლმეურნეობა „სვეტლი პუტის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
39. **პაპიშევი კუშარბეკი** — აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ბოლშენარიმსკოეს რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
40. **კარაპაულოვი ჟანბირბაი** — უზბეკეთის სსრ სირდარიის ოლქის პახტა-არალის რაიონის კოლმეურნეობა „ლგაბასის“ მექანიზატორი
41. **კერეკოვი კერეკ აპიას-ძე** — სომხეთის სსრ აბერიანის რაიონის კოლმეურნეობა „აიკავანის“ კომბაინერი. სოციალისტური შრომის გმირი
42. **კილაძე ლამარა სამსონის ასული** — საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ სილაურის კოლმეურნეობის აგრონომი
43. **კოვალენკო მიხეილ ივანეს-ძე** — უკრაინის სსრ ჩერკასის ოლქის ჩერკასის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
44. **კოლოტრი ნიკოლოზ პეტრეს-ძე** — უკრაინის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე
45. **კოკაშტალე ვეფხა ალფონის ასული** — ლატვიის სსრ რიგის რაიონის კოლმეურნეობა „კეკავის“ ტრაქტორისტი
46. **კოლეკი პეიეი ავგუსტის-ძე** — ესტონეთის სსრ ხაასალუს რაიონის კოლმეურნეობა „სიპრუსის“ თავმჯდომარე
47. **კრასნიკოვი ივანე გრიგოლის-ძე** — სტავროპოლის მხარის აპანასენკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „როსიის“ უფროსი მწყემსი. სოციალისტური შრომის გმირი.
48. **კურნევა ვასილ ეროფეის-ძე** — უკრაინის სსრ პოლტავის ოლქის ლუბენის რაიონის მიჩურინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
49. **კუჩაევი პეტრე თომას-ძე** — მორდოვეთის ასსრ არდატოვის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი
50. **კუხარი ივანე ივანეს-ძე** — მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
51. **ლევენეცი მატრონა ივანეს ასული** — უკრაინის სსრ ლუგანსკის ოლქის ტროიცკის რაიონის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის მეფორე
52. **ლოგანოვი პავლე პავლეს-ძე** — ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ლენინის ორდენოსანი სრულიად საკავშირო აკადემიის პრეზიდენტი
53. **ლობოვი ალექსანდრე თევდორეს-ძე** — პენზის ოლქის ბელინსკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
54. **ლოგვინი ნიკოლოზ პეტრეს-ძე** — გოლგოგრადის ოლქის ნოვოანინსკის რაიონის კოლმეურნეობა „ზოვეტი ილიჩის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი

(დასასრული მე-2 გვერდზე).



კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა. სურათზე: მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. ორაგველიძე, გაგრის რაიონის სოფელ ხეევნის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პ. სპანიძე და სოციალისტური შრომის გმირი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ბ. ცალმი სხდომათა შორის შესვენების დროს.



კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა. სურათზე: მარცხნიდან — აზერბაიჯანის სსრ ასაღოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. შირინოვი, დონეცკის ოლქის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. იურბენი და საქართველოს სსრ სოფ. ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი.

ფოტო „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტის ვლ. ბინიაშვილისა.

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით

ყრილობის დარგაზიდან

ტრიბუნაზეა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციათა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ლოდონგინ რინჩინი.** იგი კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს მიესალმება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა უმაღლესი საბჭოს ძირითადი მწარმოებელნი და მიმწოდებელნი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა ძირითადი ფონდები ერთიანად გაიზარდა, ფულადი შემოსავალი — 3,5-ჯერ, შრომის ანაზღაურების ფონდი — 2,5-ჯერ. ჩვენ კვლავ ლენინს, თქვა დასასრულ ორატორმა, დავამთავროთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენებლობა და შეეძლოთ პირობები კომუნიზმის შენებლობაზე გადასასვლელად. ამისათვის გვაქვს ყველა ობიექტური შესაძლებლობა. ამაში გვეხმარება საბჭოთა და ერთგული მეგობარი დიდი საბჭოთა კავშირი.

ლოდონგინ რინჩინმა დელეგატთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში ყრილობას გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — ნუთათი, რომელზეც გამოსახულია სუხეგატორის შეხვედრა ვ. ი. ლენინთან.

სახალხო პოლონეთის მიწათმოქმედთა, სახელმწიფო მეურნეობების მუშაკთა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წევრთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა სახელით კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობას მხურვალედ, ძმურად მიესალმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი **მეჩისლავ იაგელსკი.** ჩვენს ხალხს მტკიცე მეგობრობა ამ ამხანაგობა აკავშირებს. ჩვენ ერთი დიად სოციალისტურ ოჯახს ვეკუთვნით, თქვა მან. პირველი სოციალისტური სახელმწიფო და შინ ომიდან არმია ომისა და ოკუპაციის წლებში მებრძოლი პოლონეთის მთავარი მოკავშირენი იყვნენ. ამას ადასტურებს პოლონეთის მიწა-წყალზე დაფარული ასეული ათასობით საბჭოთა მეომრის სისხლი. ხოლო როცა საპირო გახდა სოფლის მეურნეობის აღდგენა, საბჭოთა კავშირიდან მიღებული მარცვლეულის თესლი სასოფლო-სამეურნეო მანქანები ხელს უწყობდნენ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიწების აღდგენისა და ათვისებას. ძმური დახმარება, რომელსაც სახალხო ხელისუფლების 25 წლის მანძილზე გვიწევდნენ, გვიმსუბუქებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგისა და მთელი ჩვენი ეკონომიკის ბარმონიულ განვითარებას.

დასასრულ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა დელეგატთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში დღეგრძელობა უსურვა საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობას; პოლონელი და საბჭოთა ხალხების დიდ და ურღვევ მეგობრობას.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ეროვნული კავშირის, სოფლის და სატყეო მეურნეობის სამინისტროს, მთელი გლეხობის სახელით კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობას მუშაობაში წარმატებანი უსურვა რუმინეთის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ეროვნული თავმჯდომარემ **ვასილე ვილკუმ.** ჩვენი ქვეყნის კოოპერაციულ გლეხობას, თქვა მან, მთელ რუმინელ ხალხს გულწრფელად ახარებს საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. საბჭოთა სოფლის მეურნეობას აქვს მძლავრი მატერიალური ბაზა, იწვევს სულ უფრო უხვ მოსავალს.

რუმინეთის კომუნისტური პარტია და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა განუწყვეტელ ზრუნავენ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომელიც მთლიანად სოციალისტურ პრინციპებზეა ორგანიზებული. უკანასკნელ წლებში განსორციელდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება და სრულყოფა, წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისა და დაგეგმვის გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისთვის განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კოოპერაციულმა კავშირებმა, რომლებიც 1966 წელს შეიქმნა. კოოპერაციული კავშირები გლეხობის წარმომადგენელია სოციალისტური ერთობის ფრონტში. ეუშათა კლასთან კავშირით რუმინეთის კოოპერაციული გლეხობა აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მთელ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

ტაშის გრიალში ვსმენილე ვილკუმ გამარჯვება უსურვა რუმინელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციისა და მოძმე ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის უფროსი მუშაკის სახელით დელეგატებს გულითადად მიესალმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის ფედერალური კომიტეტის თავმჯდომარე **კოლომან ბოდია.**

ჩეხოსლოვაკიაში, თქვა მან, ჩვენ ინტერესით ვადევნებდით თვალს თქვენი ყრილობის ნომზადებას, განსაკუთრებით დისკუსიას კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტის შესახებ. უეჭველია, საკოლმეურნეო ცხოვრების ეს ძირითადი კანონი დასაბამს ახალ პერსპექტივებს, შექმნის წარმოების უფრო დინამიკური განვითარების, სოფლად ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესების პირობებს.

ორატორმა აღნიშნა საბჭოთა კოლმეურნეების უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც , მიაღწიეს ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებისას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. სიხარულით შეიძლება გითხრათ, განაცხადა კოლომან ბოდიამ, რომ ლენინის კოოპერაციული გეგმა მთლიანად დაინერგა ჩეხოსლოვაკიაშიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამგვარად ჩვენში ჭარბობენ მსგავსი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული შედეგები წარმოუდგენელი იქნებოდა, ყოველმხრივი და მჭიდრო თანამშრომლობა რომ არ გვქონდეს სოციალისტურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან. ჩეხოსლოვაკიაში, მაგალითად, ამჟამად მოგვყავს 25 უხვმოსავლიანი ჯიშის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც უპირატესად გამოყვანილია სსრ კავშირში. 1969 წელს საშემოდგომო ხორბლის საბჭოური ჯიშები დაითესა ფართობის 62,7 პროცენტზე, სლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კი 90 პროცენტზე. ხორბლის საბჭოური ჯიშების „მიროვული-808“ და „უფხო-1“-ის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია ხორბლის ყველაზე უხვი მოსავალი — 32 ცენტნერი ჰექტარზე.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები დიდად აფასებენ მეგობრობასა და დახმარებას, რომელსაც მათ მუდამ უწევდა და უწევს — საბჭოთა კავშირი.

ტაშის გრიალში კოლომან ბოდიამ ყრილობას გადასცა სიტყვა — „ვაზა და ჩეხოსლოვაკიის კოოპერატორთა ადრესი.

ყრილობის დელეგატებს მიესალმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საკავშირო მდივნის მოადგილე **ლ. პეტკოვიჩი.**

ჩვენ იუგოსლავიაში, თქვა მან, თვალს ვადევნებთ თქვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას. ჩვენ ვიცით ბევრი შედეგი, რომლებსაც თქვენ მიიღწიეთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. თქვენ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეთ იმის მეოხებით, რომ მტკიცედ ნერგავდით მეცნიერების მიღწევებს პრაქტიკაში, ფართოდ იყენებდით შექანიზაციის საშუალებებს, ახორციელებდით თანამეგობრივ აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ღონისძიებებს.

შემდეგ ლ. პეტკოვიჩმა ილაპარაკა იუგოსლავიის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

დასასრულ ორატორმა გამოთქვა რწმენა და სურვილი, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარგში განვითარდეს იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მეგობრულ ურთიერთობას. ტაშის გრიალში ლ. პეტკოვიჩმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ყრილობის პრეზიდიუმს.

შესვენების შემდეგ ყრილობის სხდომა გრძელდებოდა შოლდავეთის სსრ კოლმეურნეობა „მოლდოვას“ მეთაჩმაქოეთა ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის, **ი. მ. ბულატის** თავმჯდომარეობით.

სიტყვა ეძლევა კომბაინერს, თათრეთის ასსრ ტუკაის სახელობის კოლმეურნეობის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარეს სოციალისტური შრომის გმირს, ასსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს **ი. ი. ახმადულინს.**

ჯერ კიდევ ცოცხალი არიან ის ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ თათართა ღარიბი სოფლები, თქვა ორატორმა, სიღარიბე და უწიგნურობა სოფლის ეოსახლეობის უმრავლესობის ხვედრი იყო. მიწის მცირე ნაკვეთი გლეხს არ შეეძლო ოჯახის რჩენა, იგი განწირული იყო შიმშილისათვის, დიდმა ოქტომბერმა და ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებამ ძირფესვიანად შეცვალა მიწათმოქმედთა მდგომარეობა, გაათავისუფლა ისინი ნაგვრისა და დამცირებისაგან.

საკოლმეურნეო წყობილებამ დაადასტურა თავისი დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილი წლები. პარტიის მეცადინეობის, გლეხთა შრომის მეოხებით სოფელმა დიდ შედეგებს მიაღწია. ეს ჩანს ჩვენი მეურნეობის მაგალითით. ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს ვიწევთ. დიდად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაც. კოლმეურნეობაში დიდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მიმდინარეობს. მარტო უკანასკნელ წლებში ავაშენეთ ახალი კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სასადილო, სასტუმრო, მაღაზიები, საშობაიარო სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

მიმდინარე ყრილობა, თქვა ორატორმა, განსაკუთრებულია. იგი მიმდინარეობს ლენინის ცხოვრების წინ. თათრეთის მთელი გლეხობა თავისი შრომის შედეგებს ამ სახელოვან თარიღს უძღვნის. გაბა თქვა უნდა, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია ილიჩის სახელი? გაბა ყანანში არ დაიწყო მისი რევოლუციური გზა? ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი აღსანიშნავია ორნაირად: იგი თითქმის ემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის დაარსების დღეს, რომლის შექმნის დაკრძალვაც ხელი მოაწერა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ღირსეულად შევხვდეთ სახელოვან იუბილეს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრს **ვ. ვ. მაცკევიჩს.** ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილი წლები. პარტიის მეცადინეობის, გლეხთა შრომის მეოხებით სოფელმა დიდ შედეგებს მიაღწია. ეს ჩანს ჩვენი მეურნეობის მაგალითით. ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს ვიწევთ. დიდად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაც. კოლმეურნეობაში დიდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მიმდინარეობს. მარტო უკანასკნელ წლებში ავაშენეთ ახალი კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სასადილო, სასტუმრო, მაღაზიები, საშობაიარო სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

მიმდინარე ყრილობა, თქვა ორატორმა, განსაკუთრებულია. იგი მიმდინარეობს ლენინის ცხოვრების წინ. თათრეთის მთელი გლეხობა თავისი შრომის შედეგებს ამ სახელოვან თარიღს უძღვნის. გაბა თქვა უნდა, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია ილიჩის სახელი? გაბა ყანანში არ დაიწყო მისი რევოლუციური გზა? ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი აღსანიშნავია ორნაირად: იგი თითქმის ემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის დაარსების დღეს, რომლის შექმნის დაკრძალვაც ხელი მოაწერა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ღირსეულად შევხვდეთ სახელოვან იუბილეს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ვ. ვ. მაცკევიჩს.** ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ განვლილი წლები. პარტიის მეცადინეობის, გლეხთა შრომის მეოხებით სოფელმა დიდ შედეგებს მიაღწია. ეს ჩანს ჩვენი მეურნეობის მაგალითით. ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ჰექტარზე 20 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს ვიწევთ. დიდად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაც. კოლმეურნეობაში დიდი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა მიმდინარეობს. მარტო უკანასკნელ წლებში ავაშენეთ ახალი კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, სასადილო, სასტუმრო, მაღაზიები, საშობაიარო სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

მიმდინარე ყრილობა, თქვა ორატორმა, განსაკუთრებულია. იგი მიმდინარეობს ლენინის ცხოვრების წინ. თათრეთის მთელი გლეხობა თავისი შრომის შედეგებს ამ სახელოვან თარიღს უძღვნის. გაბა თქვა უნდა, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია ილიჩის სახელი? გაბა ყანანში არ დაიწყო მისი რევოლუციური გზა? ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი აღსანიშნავია ორნაირად: იგი თითქმის ემთხვევა ჩვენი რესპუბლიკის დაარსების დღეს, რომლის შექმნის დაკრძალვაც ხელი მოაწერა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ღირსეულად შევხვდეთ სახელოვან იუბილეს.

ამ ბოლო 30 წლის მანძილზე თქვენს მიერ მიღწეული შედეგები, განაგრძო მან, გამოცდილება, ზოგჯერ წარუმატებლობა, რაც საჭირო სასარგებლო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა

(დასასრული მე-8 გვ.).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 277

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს შემადგენლობა

(დასასრული)

55. **მადაგინოვი რუზმატ** — უზბეკეთის სსრ ფერღანის ოლქის ხიფის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
56. **მაჭასუმოვი აკბარ ნუსრატულის-ძე** — ტაჯიკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
57. **მალინინა პრასკოვია ანდრიას ასული** — კოსტრომის ოლქის კოსტრომის რაიონის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
58. **მაგონოვი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე** — ყრასნოდარის მხარის კავკასიაის რაიონის ყდახოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
59. **მახმადალიევი მირალი** — ტაჯიკეთის სსრ ეოლესე რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
60. **მაცკევიჩი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე** — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი
61. **მიკიტეი მარიამ დმიტრის ასული** — უკრაინის სსრ ჩერნოვიცის ოლქის ზასტავნის რაიონის კირგიზეთ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
62. **მოვსესიანი ვარაგან ავეტიკის-ძე** — სომხეთის სსრ ოქტემბერიანის რაიონის კოლმეურნეობა „ბამბაკაბატის“ თავმჯდომარე
63. **მიანიკი ხარალდ ალექსანდრეს-ძე** — ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
64. **ნასრეტდინოვი ილმუტდინი** — დაღესტნის ასსრ ლენინის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
65. **ნაუმოვა ლიდია ანდრიას ასული** — ბელორუსიის სსრ ვიტებსკის ოლქის ტოლოჩინის რაიონის კოლმეურნეობა „პეროეწოგის“ თავმჯდომარე
66. **ნეჩაუ-ვოლდ ალექსანდრე სტეფანეს-ძე** — მოლდავეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
67. **ნიკიტინი სერგი სერგის-ძე** — ოროლის ოლქის ბოკოროვსკოეს რაიონის ყდახოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
68. **ნურიევი ზია ნურის-ძე** — სსრ კავშირის დამზადების მინისტრი
69. **ოვსიანიკოვი კონსტანტინე პეტრეს-ძე** — სარატოვის ოლქის ენგელსის რაიონის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
70. **ოგანესიანი გრიტ ვარონის-ძე** — სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
71. **ოდილოვი ახმაჯანი** — უზბეკეთის სსრ ნამანგანის ოლქის ბაკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
72. **ოდნოსუმოვი დოროთე ტიმოთეს-ძე** — პერმის ოლქის კოლმეურნეობა „როსიის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
73. **ოჩერეტნი გრიგოლ ვასილის-ძე** — ჩელიაბინსკის ოლქის უფელსკის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ თავმჯდომარე
74. **პასეკოვი სიმონ ტიხონის-ძე** — როსტოვის ოლქის ოქტიაბრსკის რაიონის კოლმეურნეობა „როსიის“ თავმჯდომარე
75. **პისლიარჩენკო სოფიო ეფკოიმეს ასული** — ბელორუსიის სსრ მოგილიოვის ოლქის მსტისლავლის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პარტიული ორგანიზაციის მდივანი. აგრონომი
76. **პიტრა იური იურის-ძე** — უკრაინის სსრ იმეერკარპატის ოლქის ირშავის რაიონის კოლმეურნეობა „ზი ნოვე ეფატის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირი
77. **კლიუტინსკი ვლადიმერ ანტონის-ძე** — უკრაინის სსრ როვნოს ოლქის როვნოს რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ზარია კომუნიზმის“ თავმჯდომარე
78. **ჟოლტაპა ვლადიმერ ივანეს-ძე** — სრულიად რუსეთის სკკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე
79. **პონომარიოვი გერმან ნიკოლოზის-ძე** — ვოლოგდის ოლქის გრიაზოვეცის რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას“ თავმჯდომარე
80. **პოსმიტნი მაკარ ანისიმის-ძე** — უკრაინის სსრ ოდესის ოლქის ბერეზოვკის რაიონის სკკპ XXI ყრილობის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ორგზის სოციალისტური შრომის გმირი
81. **პროზოროვა ნადეჟდა ალექსის ასული** — კიროვის ოლქის კუმენის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრის“ მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
82. **პროკოფიევკო პავლე მიხეილის-ძე** — უკრაინის სსრ კიევის ოლქის მაკაროვის რაიონის კოლმეურნეობა „როსიის“ ვეტექანი
83. **ჟდანოვი სიმონ მიტროფანეს-ძე** — კუიბიშევის ოლქის სტავროპოლის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
84. **რაბოტანსი პრანციშკუს იოზნის-ძე** — ლიტვის სსრ იონიშკისის რაიონის კოლმეურნეობა „ბარიუნაის“ თავმჯდომარე
85. **რასხადოვი მერეტ** — თურქმენეთის სსრ ყარაბეკაულის რაიონის კოლმეურნეობა „ტეზენდუმუშის“ მექანიზატორი. სოციალისტური შრომის გმირი
86. **რაგნიდა ივანე თევდორეს-ძე** — ომსკის ოლქის ნაზიკეევსკის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
87. **რიზოევი მირზოალი** — ტაჯიკეთის სსრ ლენინაკის რაიონის კოლმეურნეობა „XXII პარტყრილობის“ მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი
88. **როგინეცი მიხეილ გიორგის-ძე** — აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
89. **რუბანი ნიკოლოზ მიტროფანეს-ძე** — უკრაინის სსრ ვოლინის ოლქის კოველის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბა“ მთავარი ზოოტექნიკოსი
90. **საბჩენკო მარიამ ხარიტონის ასული** — უკრაინის სსრ სუმის ოლქის ლებედინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე. ორგზის სოციალისტური შრომის გმირი
91. **სალმინი ალექსი თევდორეს-ძე** — ულიანოვსკის ოლქის ნოვომალოკალინსკის რაიონის კოლმეურნეობა „როდინის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
92. **სარსენოვა დმიტკინ** — ალმა-ათის ოლქის ილის რაიონის კოლმეურნეობა „ყაზახეთის სსრ 40 წლისთავის“ მერგოლური
93. **სახაბმურადოვი კლიჩდურდი** — თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
94. **სემიონოვი ივანე მიხეილის-ძე** — ტულის ოლქის შჩეკინოს რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
95. **სენკო თევდორე პეტრეს-ძე** — ბელორუსიის სსრ გროდნოს ოლქის გროდნოს რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ თავმჯდომარე
96. **სერედიჩი ივანე მიხეილის-ძე** — ბელორუსიის სსრ ბრესტის ოლქის პინსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირი
97. **სინიკოვი ანდრია ალექსის-ძე** — ბრიანსკის ოლქის სევსკის რაიონის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
98. **სკოროპანოვი სტეფანე გორდეის-ძე** — ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
99. **სლაკშენი გენე ალექსის ასული** — ლიტვის სსრ რასეინიაის რაიონის კოლმეურნეობა „რაუდონიი ეკაიგედეს“ ზოოტექნიკოსი
100. **სლობოდიანი ოლდა ელიზარის ასული**—უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის მელიტოპოლის რაიონის კოლმეურნეობა „ივანგარდის“ მთავარი ეკონომისტი
101. **სტრობანოვი ვლადიმერ გრიგოლის-ძე** — ლატვიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
102. **სტუანიკოვი მიხეილ მაქსიმეს-ძე** — ამურის ოლქის ტამბოვის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „პრიამურეს“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
103. **ტარჩოკოვი კამბულატ კიცუს-ძე** — ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ურვანის რაიონის ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
104. **ტაუჭრი ათანასე ნიკოდიმის-ძე** — მოლდავეთის სსრ ჩადირ-ლუნგის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ ბრიგადირი
105. **ტვერდოხლებები ეკატერინე ეგნატეს ასული** — უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის ვალკის რაიონის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირი
106. **ტიმოფი სერგი ივანეს-ძე** — უდმურტეთის ასსრ კარაკულინსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი
107. **ტაკაზუკი გრიგოლ ივანეს-ძე** — უკრაინის სსრ ხმელნიცკის ოლქის ბოროდოკსის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
108. **ტური ვასილ ზაქარიას-ძე** — უკრაინის სსრ ოდესის ოლქის ტატარბუნარის რაიონის ტატარბუნარის აჯანყების სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
109. **ტეე ედუარდ იანის-ძე** — ესტონეთის სსრ ვირუს რაიონის რაიონის კოლმეურნეობა „ედაზის“ ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
110. **უსოლცევი ანდრია მათეს-ძე** — კურგანის ოლქის დალმატოვოს რაიონის კოლმეურნეობა „ზარიას“ აგრონომი
111. **უსი ვიქტორ პეტრეს-ძე** — კრასნოიარსკის მხარის ილანსკის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოების VII ყრილობის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
112. **უმურალიევი მუკაშ უმურალის-ძე** — ყირგიზეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
113. **ფლორანსკიევი ლეონიდ იაკობის-ძე** — რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
114. **ქევხიშვილი ნიკოლოზ ალექსის-ძე** — საქართველოს სსრ თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირი
115. **ღვინჯილია მიხეილ ბაგრატის-ძე** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
116. **ყუნგანოვი აგაიარ ალიარ ოღლი** — აზერბაიჯანის სსრ საბირაბადის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი
117. **შკურატოვი ივანე თევდორეს-ძე** — სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
118. **შუმაკოვი ილია იაკობის-ძე** — ალტაის მხარის ზმეინოგორსკის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „როსიის“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი.
119. **ჩებოტარი ეფიმ კარპის-ძე** — მოლდავეთის სსრ რიბნიცის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის 50 წლის“ თავმჯდომარე
120. **ჩერდინცევი ვასილ მაკარის-ძე** — ორენბურგის ოლქის საკმარის რაიონის კოლმეურნეობა „რასსვეტის“ კომბაინერი. სოციალისტური შრომის გმირი
121. **ჩიასტე არტურ ედუარდის-ძე** — ლატვიის სსრ დობელეს რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „ნაკოტნეს“ თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი
122. **ხალილოვი მამედ რზა ოღლი** — აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
123. **ხაზიევი გალიაბმეტ ხაზის-ძე** — თათრეთის ასსრ მენზელინსკის რაიონის კოლმეურნეობა „იარიშის“ თავმჯდომარე
124. **ხუდაიბერდიევი ნარმახმადმად ჯურაის-ძე** — უზბეკეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
125. **ჯურინი ვასილ ნიკოლოზის-ძე** — უკრაინის სსრ ივან-ფრანკოს ოლქის როჟნიატოვის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობა. სურათზე: მარცხნიდან — ჩვენი ქვეყნის უხუცესი ტრაქტორისტი პ. დიაკოვი (ტიუმენის ოლქი), ცნობილი ტრაქტორისტები ი. ბაიდოშვილი (საქართველოს სსრ) და უკრაინის სსრ ჩერკასის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. სტებლინი.

ფოტო „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტის ვლ. გინზბურგისა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲐᲧᲕᲐᲕᲤᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

სხვადასხვა აზრის დაპირისპირება — ყოველივე ეს, დარწმუნებული ვართ, ბევრად გაამდიდრებს ჩვენს გამოცდილებას, მაშასადამე ხელს შეუწყობს უდიდესი საქმის წარმატებით გადაწყვეტას, რომელსაც ვემსახურებით.

სიტყვა ეძლევა სირიის არაბთა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის მინისტრს **მუჰამედ საიდ თალებს.** თან ჩამოვიტანეთ სირიელი გლეხის გულწრფელი სალამი და სიმპათიის გრძნობები, მათი უსაზღვრო აღტაცება თქვენი მიღწევების გამო სოციალისტური მშენებლობის დარგში სოფლად და საერთოდ-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში საკოლმეურნეო საფუძველზე, თქვა მან.

ლენინის კოოპერაციული გეგმა დიდი ოქტომბრის რეოლუციის გამარჯვების შემდეგ იყო სოფლად სოციალიზმის განხორციელება. დღეს, ვეგებებით რა დიდი ბელადის, სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, სოფლის სოციალისტური კოოპერირების პირველი გეგმის შემქმნელის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს, სიამაყით ვიგონებთ ამ ადამიანის გენიას, ჯეროვნად ვიფასებთ მგრობას, რომელითაც საბჭოთა ხალხმა ყველა სიძნელის მიუხედავად შეასრულა ეს გეგმა.

ჩვენთვის, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის დელეგაციის წევრებისათვის, განსაკრძო მუჰამედ საიდ თალებმა, სასიხარულოა განვაცხადოთ, რომ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია, სირიელი ხალხის საზოგადოებრივი და მასობრივი ორგანიზაციები ფართო მასშტაბით აღნიშნავენ ამ იუბილეს, გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი მსოფლიოს ყველა რეგოლუციონერისათვის ახლობელი და ძვირფასი თარიღია.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა გლეხობის მიერ განვლილი გზა იპყრობს მსოფლიოს მილიონობით მიწის მუშის თვალს, რომელსაც იგი ნიჭიერით ჩამორჩენილობის დაძლევის ერთად ერთ გზად, სამართლიანობის, თავისუფლებისა და მშვიდობის საფუძველზე მომავლის მშენებლობის გზად.

ჩვენ, სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრები, თქვა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **აბდელ-დარდირიმ,** ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა მიეესალმოთ თქვენს ყრილობას და გამოვთქვათ ჩვენი დიდი მადლობა თავაზიანი და მეგობრული წოწეევისათვის.

ჩვენ აქ ჩამოვედით იმისათვის, რომ გავეცნოთ საკოლმეურნეო სისტემის სიახლეებს და უდიდესი ინტერესით ვისმენთ ნაამბობს კოლმეურნეთა მიერ მიღწეული უმაღლესი მაჩვენებლების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში მიგდიოვართ სოციალისტური განვითარების გზით, მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა გველის. თქვენი გამოცდილება და სოციალისტური შემკვიდრეობა დაგვეხმარებიან დავაჩქაროთ მუშაობა, უფრო მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

ორატორმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ ისინი დგანან ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი არაბი ხალხების მხარეზე, აგრეთვე მრავალმხრივი დახმარებისათვის.

მხურვალე მადლობა გადაიხადა ყრილობაზე მოწვეულისათვის ეგიპეტის რესპუბლიკის აგრარული რეფორმის მინისტრის მოადგილემ **ფეიზ ალ-რაუმმ,** რომელმაც განაცხადა, რომ ეგიპეტი დელეგაცია მოსკოვში ჩაწოვიდა საბჭოთა კოლმეურნეების გამოცდილების გადასალებად.

მთელმა ეგიპეტელმა ხალხმა და განსაკუთრებით ჩვენმა მოძმე ლეგიზებმა, განაგრძო ორატორმა, გადაიტანეს ძალადობის, ექსპლოატაციისა და თვითნებობის სიმძიმე, მიწას რწყავდნენ სისხლით და ოფლით ფეოდალების საკეთილდღეოდ. რევოლუციამ სამუდამოდ მოუშალა ფესვები ინტაფიზმს, ანუ ფეოდალ-ბეგოვნურ ოლიგარქიას, ანგრია ბოლო ექსპლოატაციის და მონობის. ამჟამად ექმნით კოლექტიურ მეურნეობებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი განვითარების დაბალ დონეზეა. იმედი გვაქვს, რომ დაგვეხმარებით, რადგან მხიდველობაში მიიღებთ ჩვენს მცირე გამოცდილებას.

სიტყვას ამბობს საფრანგეთის გლეხურ მეურნეობათა დაცვის მოძრაობის გენერალური მდივანი **რაიმონ მინო.** ჩვენთვის ცნობილია თქვენი მიღწევები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში, შთამბეჭდავი წარმატებანი წარმოების ყველა დარგში, თქვა მან. მოხარული ვართ, რომ ვიმყოფებით თქვენს დიად და მშვენიერ ქვეყანაში, რომ ვისმენთ თქვენი ხელმძღვანელებისა და კოლმეურნე დელეგატების გამოსვლებს. მოხარული ვართ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთან გაცნობისა, რომელმაც თავისი მსხვერპლით, თავისი სისხლით იხსნა კაცობრიობა და კერძოდ, ფრანგები გენერალ ომის პერიოდში. ამას არასოდეს არ დავივიწყებთ. არ დავიგიწყებთ აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე და რევოლუციური ძალების ბურჯი.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც წარმოების სხვა დარგებში, შეშოსავალი სწორად არ ნაწილდება, ზაზგასმით აღნიშნავს რაიმონ მინო. წვრილი გლეხური მეურნეობის ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის კონცენტრაციისათვის კეთილნაყოფიერი პირობების შექმნის მიზნით თითრობა არ უწევს გლეხობას დახმარებას, რომელიც გლეხობას სულ უფრო სჭირდება, და მხარს უჭერს სოფლის მსხვილ კაპიტალისტებს.

ამჟამად ჩვენ ვაერთიანებთ ყოველგვარი შეხედულების წვრილ და საშუალო გლეხობას იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს. ეს ბრძოლა პროვინციებში გამოიხატება სხვადასხვა დემონსტრაციით.

მთავრობა ამას უპირისპირებს რეპრესიათა პოლიტიკას: ეტიტერ მოღვაწეებს, მებრძოლებს ამატიმრებს, მაგრამ იგი აწყდება გლეხთა სოლიდარობას. ამის მაგალითია უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები.

მაგრამ დადგება დრო, თქვა დასასრულ რაიმონ მინომ, და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის სისწორის, სოციალიტურ ქვეყნებთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან საფრანგეთის მშრომელების სოლიდარობის შედეგად საფრანგეთიც დაადგება დემოკრატიისა და სოციალიზმის გზას.

ფინეთის წვრილ მიწათმოქმედთა კავშირის თავმჯდომარემ **არვი სალორანტამ** მადლობა გადიხადა იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს ყრილობას დასწრებოდა. დარწმუნებული ვართ, თქვა მან, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც აქ მიიღებთ, დაეხმარება საბჭოთის ხალხებს კიდევ უფრო მეტი წარმატებანი მოიპოვონ.

მრავალი წელია ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ფინეთის თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის დარგში და ამ თანამშრომლობას შეიძლება უკვე ტრადიციული ვუწოდოთ. ერთმანეთს ვუზიარებთ მონაცემებს, გამოცდილებას, რაც ორივე მხარეს ეხმარება მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში. სოფლის მეურნეობის დარგში ტრადიციული გზდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობაც, რომელსაც საფუძველად უდევს ურთიერთხელსაყრელი საწყისები.

ამით ყრილობის დილის სხდომა დამთავრდა.

* * *

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ დღის 4 საათზე დაიწყო ყრილობის საღამოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.**

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ მოხსენების გამო „ჟამთში“ გამოდის ოდესის ოლქის თათარბუნარის ოკანყების სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ზ. ტური.**

ჩვენი კოლმეურნეობანი, თქვა მან, გენიალური ლენინური კოოპერაციული გეგმის განსახიერებაა. მიწა, რომელიც ესპლოატაციის წყარო იყო, მიწა, რომელზეც საუკუნეობით ოცნებობდა მშრომელი გლეხი, გახდა თავისუფალი კოლექტიური, ღრმად გაანალიზებული შრომის ასპარეზი. ახლანდელი კოლმეურნეობა — სწორედ ეს არის ცივილიზებულ კოოპერატორთა ასოციაცია, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვისა შედეგად ბესარაბიელმა გლეხებმა მეოთხედი საუკუნის მანძილზე გიგანტური ნაბიჯი გადადგეს პრიმიტიული ნატურალური წარმოებიდან გაფართოებული კვლავწარმოების მსხვილ სოციალისტურ საწარმომდე.

უკრაინელები, რუსები, მოლდაველები, ბელგარელები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები მიზანდასახულად, ძმურად შრომობენ ერთიან ერთსულოვან საკოლმეურნეო ოჯახში. მათ უკვირთ თავიანთი კოლმეურნეობა, ამაყობენ ამ კოლმეურნეობით. ჩვენი მეურნეობა გადაშლილია 18,5 ათას ჰექტარზე. მინდვრებსა და ფერმებში მუშაობს 180 ტრაქტორი, 70 კომბაინი, 120 ავტომობილი და ბევრი სხვა ტექნიკა. ახლა მთავრდება კომპლექსური მექანიზაცია ფერმებში. ჩვენი კოლმეურნეების თითქმის ნახევარს მექანიზატორები შეადგენენ. დანარჩენთა შრომა აგრეთვე უშუალოდ დაკავშირებულია ტექნიკის გამოყენებასთან. მეურნეობაში მთლიანად დამთავრებულია ელექტრიფიკაცია. ყოველივე ამან შეცვალა მხვნელმთესველთა პროფესიის შინაარსი. მუშათა კლასმა მოგვცა შესანიშნავი მანქანები და მანქანათა კომპლექსები, რომლებიც აღჭურვილია კიდული და ნახევრადკიდული იარაღებით.

ისე როგორც ყველგან, გაიზარდა სოფლის კულტურა. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობას კოლმეურნეობამ დაახლოებით მილიონნახევარი მანეთი მოანდომა.

დასასრულ ვ. ზ. ტურმა თქვა, რომ ოდესის ოლქის დელეგატები მთლიანად იწონებენ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის პროექტს.

ყრილობას მიესალმა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ჯერარდო კიარომონტე.**

მოხარული ვარ, თქვა მან, რომ პატივი მაქვს იტალიის დელეგაციის სახელით გადმოგცეთ იტალიის მიწათმოქმედთა, გლეხთა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა გულითადი და მხურვალე სალამი.

ჩვენ დიდი ინტერესითა და ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენი ყრილობის მუშაობას, მოვისმინეთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, დ. ს. პოლიანსკის მოხსენება, ყველა სხვა გამოსვლა. და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა გრანდიოზული წარმატებანი მოგიპოვებიათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. თქვენი სიტყვებიდან ვიგრძენით აგრეთვე, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი განურჩელად იაროთ წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე, გადაწყვიტოთ ყველა პრობლემა.

თავისი სიტყვის დასასრულს დ. კიარომონტემ თქვა, გაუმარჯოს იტალიელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, დიდი ლენინს დაბადების 100 წლისთავს.

სიტყვა ეძლევა მაგადანის ოლქის ჩუკოტკის ნაციონალური ოკრუგის ჩუკოტკის პირველი რევკომის სახელობის კოლმეურნეობის მეირმეთა ბრიგადირს **ვ. ა. არეტაგინს.** უკიდურესი ჩრდილოეთის კოლმეურნეები, თქვა მან, გულწრფელ და მხურვალე მადლობას მოახსენებენ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს უდიდესი ზრუნვისა და მუდმივი დახმარებისათვის. უკიდურესი ჩრდილოეთის პატარა ეროვნებათა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

წარსულში კოლიმა და ჩუკოტკა იყო დიდი გაბერების, უუფლებობისა და სრული უწიგნურობის მხარე. მწუხარება დაეხეტებოდა ყველგან, არ ინდობდა ღარიბებს. ჩუკოტკელი ხალხი დადგავრების პირას იდგა. ტრაგიკული იყო ჩუქჩელებში. იმ დროს გავრცელებული ანდაზა: „ყველა ბავშვი როდი ხდება მოზრდილი ადამიანი“. ადამიანები უფრო მეტი იხოცებოდა, ვიდრე იბადებოდა.

და მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გადაარჩინა დაღუპვას ჩვენი ხალხი. საბჭოთა ჩრდილოეთის პატარა ეროვნებანი, ხაზი გაუსვა ორატორმა, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ აღორძინა.

ჩუქჩები, ესკიმოსები, ევენკები, იუკაგირები, კორიაკები და ჩრდილოეთის სხვა ეროვნებანი ახლა სარგებლობენ ყველა სიკეთით, რასაც ხალხს საბჭოთა ხელისუფლება აძლევს.

რუსეთის ჩამორჩენილი კუთხე გადაიქცა მსხვილ სამრეწველო ოლქად, ირემთა ბილიკების მხარეს ახლა სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ქვეყნის სავალუტო საამქროს. მეირმეების გვერდით შრომობენ გეოლოგები და მშენებლები, მაღაროელები და ენერგეტიკოსები. შენდება ჩრდილოეთში პირველი ბილიბინთის ატომური ელექტროსადგური.

უმაგალითო ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაშიც, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. არა მარტო კოლიმაში, არამედ პოლარული წრის მიღმაც ვითარდება მიწათმოქმედება. ჩემმა მშობლებმა ახალი რძის, ბოსტნეულისა და ხილის გემოც კი არ იცოდნენ, ახლა კი თითქმის ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. პოლარული წრის მიღმა მდებარე ლენინის სახელობის კოლმეურნეობა კი ამრავლებს ფრინველს, აქვს სასათბურო მეურნეობა. სხვანაირი გახდა მეირმეობა. ახლა უკვე ვეღარ წარმოგვიდგენია მუშაობა ზოოტექნიკოსისა და ექიმის, ქიმიისა და მექანიზაციის გარეშე. მაგადანში შექმნილია სოფლის მეურნეობის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ჩვენს კოლმეურნეობას ჰყავს დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ირემი, თქვა ორატორმა. კოლმეურნეობის ტერიტორია კი ისეთი დიდია, რომ მასში თავისუფლად მოთავსდება დანია ან შვეიცარია.

ამხ. არეტაგინი შეეხო იმ საკითხებსაც, რომლებიც მეირმეებს აწუხებთ. მეირმეებს ძალიან გაუხარდებოდათ, თუ მნიშვნელოვნად გადიდებდნენ ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დიდი გამავლობის მანქანებისა და ყველგანმავლების მიწოდება.

ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ განაცხადა, რომ „კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ“ მოხსენების გამო კამათში ჩაეწერა 141 კაცი, გაძოვიდა 49 კაცი. შემოსულია წინადადება შეწყდეს კამათი.

დელეგატები ერთსულოვნად უყრიან კენჭს კამათის შეწყვეტას.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მომხსენებელი ამხანაგი დ. ს. პოლიანსკი საბოლოო სიტყვას არ იტყვის.

წესდების პროექტისა და სხვა საკითხების გამო დელეგატების წინადადებების განსახილველად ყრილობის მიერ შექმნილი კომისიისგან სიტყვა ეძლევა ვინიცის ოლქის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს **ვ. მ. კავუნს.**

დელეგატები ერთსულოვნად უყრიან კენჭს კომისიის შესწორებებს წესდების პროექტისათვის.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ერთხმად იღებს დადგენილებას „კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესახებ“ დადგენილების პროექტის შესახებ.

ამხ. კავუნი ლაპარაკობს კოლმეურნეობათა საბჭოების შექმნის შესახებ.

საკოლმეურნეო დემოკრატიის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობების ცხოვრებისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხების კოლექტიური განხილვის, წარმოების ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადებისა და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის რეზერვების უფრო სრული გამოყენების შესახებ რეკომენდაციათა შემუშავების მიზნით კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა იღებს გადაწყვეტილებას შექმნას კოლმეურნეობათა არჩევითი საბჭოები რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, რესპუბლიკებსა და ცენტრში.

კოლმეურნეობათა საბჭოების არჩევნები გაიმართება: რაიონებში-კოლმეურნეობათა წარმომადგენლების კრებებზე; ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში, აგრეთვე ცენტრში — კოლმეურნეობათა შესაბამისი საბჭოების წარმომადგენლების კრებებზე.

დელეგაციათა წარმომადგენელთა თათბირის სახელით ეორონენკოს ოლქის კოლმეურნეობა „სამილუკაკის“ თავმჯდომარე **გ. ა. სალიროვის** შემოაქვს წინადადება კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს რიცხობრივი და პერსონალური შემადგენლობის შესახებ. ერთხმად ირჩევენ კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს 125 კაცის შემადგენლობით.

შემდეგ კითხულობენ „კოლმეურნეთა წევრების სოციალური დაზღვევის შესახებ“ დადგენილების პროექტს.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას 1970 წლის 1 იანვრიდან შემოიღოს კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ერთიანი სისტემა. ამისათვის იქმნება ცენტრალიზებული ფონდი კოლმეურნეობათა ანარიცხებისაგან შრომის ანაზღაურების ფონდის 2,4 პროცენტის ოდენობით.

ამხანაგმა ნ. ვ. პოდგორნიმ განაცხადა, რომ შემოსულია წინადადება კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის სახელით წერილი გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი წერილის ტექსტის ერთსულოვან მიღებად.

ოვაციამ ახალი ძალით იფეთქა. მხურვალე ტაშს უკრავენ დელეგატები. და სტუმრები.

დამსწრეთ მიმართავს ამხანაგი **ნ. ვ. პოდგორნი.** (სიტყვა იბეჭდება „კომუნისტის“ დღეგანდელ ნომერში პირველ გვერდზე).

როგორც კი შეწყდა პარტიული ჰიმნის ხმა, რომელსაც შეკრებილნი ფეხზე ამდგარნი მღეროდნენ, დიდი აღმავლობით და აღფრთოვანებით გაისმა მეუხარე ტაში. დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან გაისმოდა შეძახილები: „ეგაშა“, გამარჯვებას უსურვებენ კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა ხალხს, რომელიც გულდადებით მიდის წინ კომუნიზმის მწვერვალებისაკენ. (საკდესი).

ᲐᲧᲕᲐᲕᲤᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲨᲘ

◆

მთელი დიადი საბჭოთა — კიდით კიდამდე — შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს სოფლის მშრომელთა სრულიად საკავშირო ფორუმს. ჩვენი სამშობლოს ყოველი მოქალაქე — მუშა და მსახური, მეცნიერი და მხატვარი, კოსმონავტი და პოეტი — გულით კრემლში იყო. ჩვენს სახელმწიფოში, სადაც ყველა პროფესია მნიშვნელოვანი და საპატიოა, შრომის, მეცნიერების, ხელოვნების კავშირი ჭეშმარიტად უოლვე

. ამ აზრით იყო გამსჭვალული საზეიმო კონცერტი კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის მონაწილეთათვის, რომელიც გაიმართა 27 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სახახლეში. ხელოვნების ოსტატებმა მოსავლის ოსტატებს მიუძღვნეს თავიანთი შთაგონება, ოსტატობა და სიყვარული. ეს კონცერტი იყო მხვნელ-მთესველის, მევენახის, მებაღის სადიდებელი სიმღერა...

მთელი დარბაზი გულითადად შეხვდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს. კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციები — კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის სტუმრები.

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ დედაქალაქის ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები — ყველა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლები. მათ შორის — მწერალი ლეონიდ სობოლევი და სერგი მიხალკოვი, კომპოზიტორები ტიხონ ხრენნიკოვი, ვასო ფურადელი და ალექსანდრა პახმუტოვა, თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები მიზეელ ცარიოვი, გალინა ულანოვა, ბორის სმირნოვი და რუფინა ნიფონტოვა, კინემატოგრაფისტები ლევ კულეშოვნი, ბორის ჩირკოვი, ვსევოლოდ სანაევი და ნონა მორდიუკოვა, მსატვრები ნიკოლოს ტომსკი და ნიკოლოს პოხომარიოვი.

აღფრთოვანებით ილაპარაკა ტ ხრენნიკოვმა საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ხალხის ურღვევი კავშირის, სოციალისტური სოფლის ახალი ადამიანების შესახებ, მათს წინაშე ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა მოვალეობის შესახებ.

საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია თავისი ხალხის სისხლი და ხორცია, ამბობს იგი. ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა ვქმნიდეთ თქვენთვის — ჩვენი მკითხველებისათვის, მაყურებლებისათვის, მსმენელებისათვის. ვქმნით რა სოციალიზმის პირველი ქვეყნის ლიტერატურას, ხელოვნებას, შთაგვაგონებს თქვენი შესანიშნავი სავისი ვირტუოზული ნიჭი, როცა იმღერა ა. ალიაბიევის რომანსი „ბულბული“.

სატირისა და იუმორის შესანიშნავმა ოსტატებმა ი. ტიმოშენკომ და ვ. ბერეზინმა მაყურებლებს გააცნეს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ახალი ინტერიდადა.

სამხრეთის შთებიდან ჩრდილოეთის ზღვებამდე მოაწყვეს მუსიკალური „მოგზაურობა“ კრემლში გამართული კონცერტის მაყურებლებმა. ყაზაგის მთის ძირში გასლაგებული ბარაკიანი ხეობა წარსდგა მათს წინაშე სურათში „საკოლმეურნეო მინდორი“. საქართველოს ოლეოს დაბა ძიმითის კოლმეურნეებმა უჩვენეს ვოკალურ-ქორეოგრაფიული სუიტა. დნესტრიანეთის მხიარულ ვენახებში გადაიყვანა ყველა მხიარულმა ხალხურმა ცეკვამ „მოლდოვენიასკამ“, რომელიც შეასრულა თვითმოქმედმა ანსამბლმა „მერეცილორმა“. უზბეკეთის ბაბმის პლატაკიეიენი გაცოცხლდა ნიჭიერი ბალერინას გალინა იზმაილოვას ცეკვაში, რომელიც გამოვიდა სირდარიის ოლქის მოცეკვეთთა კოლექტივთან „შელიკოთან“ ერთად. ბალტიის წაპირეთთან მიიწვია მსმენელნი ესტონურმა ხალხურმა სიმღერამ „ბუ-ბუ, ბუ-ბუ ბუბულუო“, რომელიც იმღერა ქალთა ვოკალურმა ანსამბლმა „კაიამ“.

„...სიტაბუკეს გზა აქვს ხსნილი ფართოდ“, ვის არ მოაგონდა სიმღერა ეს სიტყვები, როცა სცენაზე დაინახა კონცერტის ყველაზე ნორჩი მონაწილენი — მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელნი. მათ შეასრულეს შთიარული ცეკვა „სუეროველების“.

საღამესასწაულო კონცერტში დიდი წარმატებით გამოვიდნენ მომღერლები ე. ბელიაევი, ი. მაზუროკი, მ. მაგომაევი, კინომსახიობები ა. ბორისოვი, ვ. მერკურიევი, ბ. ჩირკოვი, მოცეკვავეები და მომღერლები საბჭოთა არმიის ფეიფლოროშოვანი ანსამბლისა ბ. ალექსანდროვის ხელმძღვანელობით. კვლავ მოაჯადოვა მაყურებელნი თავისი განუმეორებელი ხელოვნებით არკადი რაიკინმა.

კონცერტი დამთავრდა. კონცერტის ყველა მონაწილე გამოვიდა სცენაზე. ისინი მიეგებნენ ა. ნოვიკოვის სიმღერას „სამშობლო, ლენინი, პარტია“, ეს კომუნიზმის მშენებელი ხალხის სადიდებელი სიმღერა გულში ჩასწვდა ყოველ დამსწრეს.

ი. ᲕᲔᲫᲚᲘᲠᲘ,
Გ. ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲙᲝ,
(საკდესის კორ.).

ᲐᲦᲕᲐᲤᲠᲓᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მე-9 პლენუმი. პლენუმმა განიხილა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მუშაობის შემდგომი გაკეთილისათვის. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ოლოლაშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: პარტიის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი **ხ. რიგვავა,** საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **ი. ბუაჩიძე,** „ლასტმასის“ ქარხნის დირექტორი **ტ. ჭკარშეიშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **გ. გოშაძე,** თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი **კ. კეთილაძე,** თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი **დ. ლორთქიფანიძე,** სამედიცინო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი **გ. სარალიძე,** საქართველოს აკადემიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია,** უნივერსიტეტის კათედრის გამგე **გ. ფირცხალავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **გ. ჯიბლაძე.**

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასრულებენ რა სკკპ 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს, უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, ქალაშვილებისა და ჰაბუკების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლების საკითხებს.

ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები ფართო პროპაგანდას უწევენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, ზრდიან ახალგაზრდობას უფროსი თაობის სახელოვან რევოლუციურ, შრომითს და საბრძოლო ტრადიციებზე.

მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში ახალგაზრდობა უჩვენებს შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს.

ამასთან პლენუმზე გამოსულმა პარტიული პრინციპულობით გააკრიტიკეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. ბევრი პარტიული ორგანიზაცია კი წყდება ღრმად ახალგაზრდობისა და ოჯახდელობითი მუშაობის არსს, არ უწევს მას ყოველდღიურ დახმარებას. ხშირად მუშაობა ახალგაზრდებს შორის წარმოებს არადიფერენცირებულად, ქალაშვილებისა და ჰაბუკების სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური კატეგორიების ინტერესებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ქალაქის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მოსთხოვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდობაში, კიდევ უფრო ეამაღლონ მისი შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, სახელოვანი შრომითი საქმეებით აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის **ი. შეკარდნაძის** ინფორმაცია პლენუმებს შორის პერიოდში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ. (საქდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ 49 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

Ბ. Ა. ᲛᲝᲜᲗᲔᲡᲘᲐᲜᲘ,
ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ

მრავალდღიანი ისტორიისათვის დროის ძალიან მცირე მონაკვეთია. მაგრამ სომეხი ხალხის ცხოვრებაში ეს წლები გადაიქცა მატერიალური და სულიერი ძალების შემაგალითო აყვავების, შემოქმედებითი მამართების წლებად, ცხოვრების ყველა დარგის ძირეული გარდაქმნის ხანად.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის მუშებმა და გლეხებმა კომ

საქართველოს ამბავი და ბაზარი

მიძღვნა იუგოსლავიის ეროვნულ დღესასწაულს

28 ნოემბერს თბილისში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ფეანიამ.

მოხსენება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის შესახებ გააკეთა უნივერსიტეტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგემ ნ. ნაკუბებიამ.

პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიის“ მუშამ თ. მუმლაძემ, რესპუბლიკის სამხედრო კომისრის მოადგილემ ვ. ღოღელიანმა, კომკავშირის თბილისის კიროვის რაიკომის მდივანმა ვ. ჩომახიძემ იუგოსლავიის მშრომელებს მიულოცეს დღესასწაული და ყოველივე საუკეთესო უსურვეს. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობა განვითარდება და განმტკიცდება. (საქდესი).

რუსთაველები იყალთოში

რუსთავი. (საკ. კორ.). ნაყოფიერ, შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან რუსთავის მეტალურგთა და იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტები.

გამოცდილების გაზიარებისა და მეგობრობის განმტკიცების მიზნით რუსთავის უნივერსიტეტის მსმენელები იყალთოელებს ეწვივნენ.

სახელდახელოდ მოწვეულ შეხვედრაზე სტუდენტთან გამოიდუნენ და თავიანთ გეგმებსა და გამოცდილებაზე ილაპარაკეს იყალთოსა და რუსთავის სახალხო უნივერსიტეტების რექტორებმა ვ. შათირიშვილმა და კ. მუმლაძემ.

რუსთაველებმა მასპინძლებს საჩუქრად მიუძღვნეს ქართული თეთრისაგან ჩამოსხმული ბრძმედის ბარელიეფი და რუსთაველ ლიტერატორთა ნაწარმოებები. სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს რუსთაველებმა თავიანთი იყალთოელი მეგობრებისგანაც.

◆

„ირმის ტბა“

მოსხენების სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უწვევნა ბ. კაპანაშვილის ლირიკული კომედია სამ მოქმედებად „ირმის ტბა“. სპექტაკლის რეჟისორია ნანა დემეტრაშვილი, მხატვარი — ა. გოგოლაძე, ქორეოგრაფი — ვ. კვინტსაძე. მუსიკა შერჩეულია ლ. სეხნიაშვილის მიერ.

სითბო და ყინვა

იანვარმა შემოდგომა. ორიოდე დღე, და საქართველოში შემობრძანდება თეთრწვერა ზამთარი. მიუხედავად ბუნების ფირფიტალების სიალოვისა, ამინდს ჯერჯერობით არ ემჩნევა მკვეთრი ცვლილება.

— გასული კვირის მანძილზე, — გვაცნობებს თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი ნ. ძამაშვილი, — საქართველოში კვლავ იდგა მზიანი, მშრალი, თბილი ამინდი. დასავლეთ საქართველოს ბარში დღისით ტემპერატურა აღწევდა 20-25, ღამით 5-10 გრადუს სითბოს, მთიან რაიონში დღისით იყო 18-19, ღამით ნული, სამი გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღისით იდგა 15-18 გრადუსი სითბო, ღამით ორი გრადუსი სითბო. მაღლი დღისით 10-15 გრადუსი სითბო, ღამით 3-5 გრადუსი ყინვა. გამონაკლისს შეადგენდა ქართლში გორისა და მუხრანის მიდამოები, სადაც ღამით იყო სუსხი და აღინიშნებოდა 5-6 გრადუსი ყინვა! თოვლი ჯერ არ მოსულა, თუ არ ჩავთვლით ჯვრის უღელტეხილს, სადაც ამჟამად დგას 15-16 სანტიმეტრი სიმაღლის თეთრი საბურველი.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა გასული კვირის განმავლობაში აღინიშნა 27 ნოემბერს. ამ დღეს ბათუმში, ანასეულში იყო 25 გრადუსი სითბო, გაგრაში, ფოთში, ქუთაისში, გეგეჭკორში — 23 გრადუსი. განსაკუთრებით დათბა ღამითაც. ბათუმში აღინიშნა 19 გრადუსი სითბო, ქუთაისში 14, გეგეჭკორში 20. სითბო იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. თბილისში, საგარეჯოში, გარდაბანში 27 ნოემბერს მაქსიმალური ტემპერატურა აღწევდა 19 გრადუსს, გორსა და მუხრანში კი ღამით კვლავ ყინავდა.

ეამინდი

როგორი ამინდია მოსალოდნელი მომდევნო ორი-სამი დღის განმავლობაში?

ევროპაში, იტალიასა და საბერძნეთში ამინდი გაუარესდა. ვფიქრობთ, რომ ეს ციკლონი ჩვენსკენაც გადმოვა და ამდენად დასავლეთ საქართველოში ამინდი რამდენადმე შეიცვლება. მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა, დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში მაქსიმალური 11-15 გრადუსი სითბო, მთაში — 2-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ადგილებადი მოღრუბლულობა, დასავლეთის რაიონში წვიმა, მეჩკერის ხეობაში იქროლებს წამში 12-18 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა დღისით 12-17, მთაში — 4-9 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია უნასეული ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 15-17 გრადუსი.



ი. ბერულავა

ბანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ჰიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია ტიმოთეს-ძე ბერულავა, სკკპ წევრი 1929 წლიდან.

ი. ბერულავა დაიბადა 1897 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ გოდოგანში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1916 წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს ჯარში.

1921 წელს ექსტერნად აბარებს გამოცდებს სიმწიფის ატესტატზე და იმავე წელს შედის თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ — 1929 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის აპარატში. შემდეგ გადაყვანილ იქნა თბილისის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ. 1937-1942 წწ. ი. ბერულავა გაიწვევს საბჭოთა არმიაში და მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ ლაბორატორიის უფროსად. დიდი სამამულო ომის პერიოდში ეპიდსაწინააღმდეგო მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრაზე დოცენტად, ხოლო 1965-67 წწ. კათედრის გამგის მოვალეობას ასრულებს.

ი. ბერულავას კალამს ეკუთვნის 30 სამეცნიერო შრომა, რომელთა უმრავლესობა დასტამბულია და ეხება საქართველოს მოსახლეობის კვების თავისებურებების შესწავლას.

მეცნიერისა და პედაგოგის, თვალდაბალი, გულისხმიერი მეგობრისა და ამხანაგის პროფესორ ი. ბერულავას ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგების გულში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ კიბიენისტთა საზოგადოება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩიანეთა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყებიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უოფილი დირექტორის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტის, ცნობილი მკვლევარისა და პედაგოგის

ვარლამ თეიმურაზის-ძე ფანთისას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

საპროგრამო განცხადება

პროექტი მოიწონეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 28 ნოემბერი. (საკადესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტმა მოიწონა პროექტი რეზოლუციისა ადამიანის უფლებებისა და ბრძოლის საერთაშორისო წლის (1968 წელი) შესახებ და ადამიანის უფლებების საკითხზე თეირანის საერთაშორისო კონფერენციის რეკომენდაციათა განხორციელების შესახებ.** მასში გამოთქმულია იმედი, რომ ღონისძიებანი, რომლებიც 1968 წელს განახორციელეს მთავრობებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებმა, სპეციალიზებულმა საგენტოებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, და რომლებიც „უშუალოდ ადამიანის უფლებებს ეხებიან“, მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება. რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა. კენჭისყრის შემდეგ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მაჰმუდ მუსამ აღნიშნა: პირველი შემთხვევა არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ხმას აძლევს იმ რეზოლუციებს წინაალმდეგ, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხებიან.

◆

აგრესორი არ ცხრება

როგორც პრესის სააგენტო განთავისუფლება იუწყება სამხრეთ ვიეტნამიდან, ამერიკელი აგრესორები კვლავ იყენებენ ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს სამხრეთ ვიეტნამის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. მარტო ნოემბერში მათ შხამქიმიკატებით „დაამუშავეს“ 20 დასახლებული პუნქტი მითხოს პროვინციაში. 11-დან 18 ნოემბრამდე თვითმფრინავებიდან მომწამვლელ ნივთიერებათა მოფრქვევის შედეგად ამ პროვინციის ზოგიერთ რაიონში დაზარალდა ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები, დაიღუპა რამდენიმე ათასი ჰექტარი მოსავალი. (საკადესი).

პოლიტიკა კარიკატურაში



ბათეში ზრუნავენ ისტორიული ძეგლების დაცვაზე.

„პურკუა ბა?“, ბრიუსელი.

1969 დიდი ფეხბურთის პრიზები

ფეხბურთელთა მარათონი დამთავრდა. ცნობილია ჩემპიონი, პრიზიორები, მომდევნო ადგილების მფლობელები. მაგრამ გარდა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისა დაწესებულია სხვადასხვა ტრადიციული პრიზები.

ვინ არიან მათი მფლობელები?

სნაიპერთა სამეული

გაზეთ „ტრუდის“ პრიზის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. იგი უახლოეს დღეებში უნდა გადაწყვიტოს სარედაქციო კოლეგიამ. აი როგორ გამოიყურება მთავარი ბომბარდირების სია: **ნ. ოსიანინი** („სპარტაკი“) — 16 ბურთი, **ვ. პროსკურინი** (დონის როსტოვის სკა) — 16, **ჯ. ხერხაძე** (ქუთაისის „ტორპედო“)—16 ბურთი. **გ. ჰუსაინოვმა** („სპარტაკი“) 12 ბურთი გაიტანა, **რ. აბდულაევმა**, („ნეფტჩი“) — 11, **ბ. ნოდიამ** (თბილისის „დინამო“) — 11.

როგორც ვხედავთ, პრიზზე ერობამად სამი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას.

ამჯერად „შახტიორი“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ყოველწლიურად აჯილდოებს სპეციალური პრიზით დუბლიორთა სუკეთესო გუნდს. ამ პრიზის მფლობელი გახდა დონეცკის „შახტიორი“. წინასწარ შეხვედრებში „შახტიორმა“ და მოსკოვის „დინამომ“ თანაბარი ქულები შეაგროვეს. გამარჯვებული გამოავლინა ამ გუნდების ორმა შეხვედრამ. პირველი მოიგეს დონეცკელებმა 4:1, მეორე მოსკოველებმა — 3:1. პრიზის საკითხი ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა.

ბურთების უკეთესი სხვაობისათვის

უკრაინის სპორტული ჟურნალის „სტარტის“ პრიზი გახკუთვნილია იმ გუნდისათვის, რომელსაც მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. იგი მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“, რომლის ბურთების სხვაობა ოცდაცხრას შეადგენს.

ვერცხლის პრიზიორის პრიზი

ყოველკვირეული ჟურნალის „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზი დაწესებულია იმ გუნდისათვის, რომელსაც სამი ან მეტი ბურთის სხვაობით მოგებული მატჩების რაოდენობა მეტი აღმოჩნდება. ყველაზე უკეთესი შედეგი — ხუთი ასეთი მოგება აღმოაჩნდათ კიევის დინამოელებს. კიეველებმა დაამარცხეს ქუთაისის „ტორპედო“ 3:0, მინსკის „დინამო“ — 3:0, ლენინგრადის „ზენიტი“ — 4:0, ერევნის „არარატი“ 4:1, სვერდლოვსკის „ურალმაში“ 5:0.

ოთხ-ოთხი ასეთი მოგება აღმოაჩნდათ მოსკოვის „სპარტაკსა“ და „დინამოს“.

პრიზი მოსკოველებს

გამარჯვების ნებისყოფისათვის—ასე უწოდებენ პრიზს, რომელიც 1962 წლიდან დაწესებულია ამ ჟურნალის „სოვეტსკაია როსიას“ და გადაეცემა გუნდს, რომელიც აგებდა თამაშს, მაგრამ შეძლო მისი გამარჯვებით დაგვირგვინება. წელს ეს პრიზი დაიმსახურეს მოსკოველ დინამოელებმა, რომლებმაც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი გამოსვლებით ჯიბეს ისქელებდნენ, თავიანთი ფულით დაუშვადეს მას ბრილიანტებით შემკობილი ხალასი ოქროსაგან ჩამოსხმული ბურთი, რომელიც პელეს საზეიმო ვითარებაში გადაეცემა. („იზვესტია“).

ბურთებიანი ტურნირები

ჩემპიონთა თასზე

26 ნოემბერს გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის მეორე შეხვედრები. მათი შედეგები ასეთია (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები გვიჩვენებენ პირველი მატჩების შედეგებს):

„ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 0:3 (0:3), „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ფორვერტსი“ (ბერ) 3:2 (1:2), „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — „ლეგია“ (პოლონეთი) 0:1 (1:2), „ფეიენორდი“ (ჰოლანდია) — „მილანი“ (იტალია) 2:0 (0:1), „გალატასარაი“ (თურქეთი)— „სპარტაკი“ (ჩეხოსლოვაკია) 1:0 (0:1), „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 3:0 (0:3).

ორი თამაშის შედეგით მეოთხედფინალში გავიდნენ „ლიდს იუნაიტედი“, „ლეგია“, „ფეიენორდი“, „ფიორენტინა“, „ფორვერტსი“. ორ მატჩში „გალატასარაი“ — „სპარტაკი“ და „ბენფიკა“ — „სელტიკი“ დამატებითმა დრომ ვერ შეცვალა ანგარიში. მოიწყო კენჭისყრა. ბედმა გაუღიმათ „გალატასარაისა“ და „სელტიკს“.

თასების მფლობელთა თასზე

ევროპის ქვეყნების თასებს მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდნენ იუგოსლავიის „დინამო“, „შალკე-04“ (გფრ), „გურნიკი“ (პოლონეთი), „გოზტენე“ (თურქეთი), „აკადემიკი“ (პორტუგალია), „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი), „ლევსკი“ (ბულგარეთი) და „რომა“ (იტალია).

ტრადიციული ტურნირები

ევროპის ჩემპიონატი ეროვნულ ნაკრებებს შორის

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ეროვნულ ნაკრებებს შორის ჩატარდა ესპანეთში. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ოთხმა ნაკრებმა: ესპანეთმა, ინგლისმა, იუგოსლავიამ, სსრკ-ს ნაკრებმა. ორ ნახევარფინალურ თამაშში ესპანეთმა ერევნულ ნაკრებს 2:1 (1:1) ანგარიშით, ინგლისმა — 1:0 (0:0) ანგარიშით ასჯერ ჩემპიონ იუგოსლავიის ნაკრებს. ფინალურ თამაშში ესპანეთმა ინგლისელებს 2:0 (1:0) ანგარიშით. ესპანეთის ნაკრებმა ეროვნული ჩემპიონატი ოთხჯერ მოიგო.

XXXI ჩემპიონატის საგოლოო ცხრილი

პირველობა-მეთოთხმეტე ადგილები

ძირითადი შემადგენლობა

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ მ.	26	19	5	2	40-11	43
„დინამო“ (კ.)	26	16	7	3	37-13	39
„დინამო“ (თბ.)	26	12	11	3	34-17	35
„დინამო“ (მ.)	26	12	7	7	44-28	31
„ტორპედო“ (მ.)	26	11	9	6	29-19	31
ცსკა	26	10	9	7	19-14	29
„ნეფტჩი“ (ბ.)	26	6	11	9	26-27	23
„ჩერნოზემორეცი“ (ო.)	26	7	7	12	17-26	21
„ზენიტი“ (ლ.)	26	6	9	11	21-34	21
„შახტიორი“ (დ.)	26	6	8	12	20-28	20
„ზარია“ (ლუგ.)	26	5	9	12	21-30	19
სკა (როსტ.)	26	6	7	13	23-37	19
„დინამო“ (მნ.)	26	5	9	12	14-31	19
„ტორპედო“ (ქ.)	26	4	6	16	20-50	14

ეკონომიკა

ასპარეზობათა პანორამა

● **ლენინგრადში** დამთავრდა შვიდი ქვეყნის ახალგაზრდა მოკრივეთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. ხაბჭოთა მოკრივეებმა მოიპოვეს 10 ოქროს, 7 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს მედალი.

● **სსრ კავშირის** ჩემპიონმა მოსკოვის „სპარტაკმა“ ბეიროუთში გამართა მეორე საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში „საფას“ საკლუბო გუნდთან და გაიმარჯვა 4:1.

● **გროზნოში** გრძელდება ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში. ექვსი ტურის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს ლენინგრადის გუნდი, რომელსაც 47 ქულა აქვს. საქართველოს გუნდი 34,5 ქულით მესამე ადგილზეა.

● **ალმა-ატა-ვალიორკაში** გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები არიან საბჭოთა გროსმაისტერები პეტროსიანი და კორჩნოი. რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სპასკი, მეკინგი, ჰორტი, კორალი და მედინი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩიანეთა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დიდი მწუხარებით იუწყებიან ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უოფილი დირექტორის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტის, ცნობილი მკვლევარისა და პედაგოგის

ვარლამ თეიმურაზის-ძე ფანთისას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ოკუპანტთა თარეში

ამანი, 27 ნოემბერი. (საკადესი). ფართოვდება პარტიზანული მოძრაობა ისრაელი დამპყრობლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ისრაელის გაზეთ „მაარივის“ მონაცემებითაც, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი ოკუპირებულ რაიონებში 2.5 ათასს აღემატება.

პარტიზანული მოძრაობის ჩასახშობად საოკუპაციო ხელისუფალნი ტერორსა და რეპრესიებს მიმართავენ.

ამას წინათ ისრაელთა სამხედრო სასამართლოებმა ქალაქ კუნეიტრში, ღაზასა და ლიდაში სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯეს 11 არაბ პატრიოტს, რომლებიც მონაწილეობდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ სამხედრო სასამართლოების განაჩენებით ოკუპანტებმა საპატიმროებში ჩასვეს 2.600-ზე მეტი კაცი;

ვაუკაცობისა და მამაცობისათვის

პრაღა, 27 ნოემბერი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მილიციის მთავარსარდალმა გ. ჰუსაკმა გუშინ მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მილიციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სახალხო მილიციის მთავარი შტაბის უფროსი რ. გორჩიცი, და დელეგაციას გადასცა წითელი დროშის ორდენი. სახალხო მილიციას, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო, ეს ჯილდო მიენიჭა პრინციპული, მტკიცე კლასობრივი პოზიციისა და პარტიის პოლიტიკის დაცვისათვის, წარსული პერიოდის კრიზისულ სიტუაციებში სახალხო მილიციის წევრთა უმრავლესობის მამაცური მოქმედებისათვის, მიმდინარე წლის აგვისტოს დღეებში სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველყოფაში დამსახურებისათვის.

გ. ჰუსაკმა წითელი ვარსკვლავის ორდენი გადასცა აგრეთვე პრაღის სახალხო მილიციის დელეგაციას.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

28 ნოემბერს მოსკოვში ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ხელი მოაწერა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ჰელმუტ ალარდტმა. (საკადესი).

მეშვიდობის პოლიტიკა

სოფია, 28 ნოემბერი. (საკადესი). ექვსი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა და მთავრობათა განცხადებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ერთსულოვნად იწონებს ბულგარეთის საზოგადოებრიობა.

ექვსი სოციალისტური ქვეყნის განცხადება, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“, გამოქვეყნდა იმ მომენტში, როცა დაძაბულობამ ახლო აღმოსავლეთში საშიში მასშტაბი მიიღო. განცხადება არა მარტო აღნიშნავს ფაქტებს, არამედ აგრეთვე მიუთითებს ჩიხიდან გამოსავალს, მოუწოდებს იხმარონ გადაუდებელი ღონისძიებანი. ექვსი ქვეყანა აშკარად გამოხატავს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას არ დაუშვან აგრესორთა გეგმების განხორციელება, თავის მზადყოფნას კვლავაც გაუწიონ არაბულ ქვეყნებს ყოველმხრივი დახმარება. უმაღლეს დონეზე არაბთა შეხვედრის წინ გამოქვეყნებული განცხადება კატეგორიულად ადასტურებს, რომ მისი ხელის მომწერი ქვეყნების სახით არაბ ხალხებს მყავთ გულწრფელი მეგობრები.

განცხადება ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, წერს გაზეთი „ვეჩერნი ნოვინი“, კიდევ ერთხელ ადასტურებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კონსტრუქციულ პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების, აგრესორთა ალაგმვის საქმეში. მას მადლობით და სრული მხარდაჭერით შეეგებება ყველა ხალხი, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო.

ოკუპანტთა თარეში

ამანი, 27 ნოემბერი. (საკადესი). ფართოვდება პარტიზანული მოძრაობა ისრაელი დამპყრობლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ისრაელის გაზეთ „მაარივის“ მონაცემებითაც, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი ოკუპირებულ რაიონებში 2.5 ათასს აღემატება.

პარტიზანული მოძრაობის ჩასახშობად საოკუპაციო ხელისუფალნი ტერორსა და რეპრესიებს მიმართავენ.

ამას წინათ ისრაელთა სამხედრო სასამართლოებმა ქალაქ კუნეიტრში, ღაზასა და ლიდაში სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიესაჯეს 11 არაბ პატრიოტს, რომლებიც მონაწილეობდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სულ სამხედრო სასამართლოების განაჩენებით ოკუპანტებმა საპატიმროებში ჩასვეს 2.600-ზე მეტი კაცი;

ბელგრადი დღეს

ბელგრადი

**ბ ა ზ ა ს ა ბ ა ნ ა ვ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ